ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი № 10

ქ. ლანჩხუთი 18.12. 2019 წელი
11.00 საათი

სხდომას ესწრებოდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ჩახვაძე.**

კომისიის წევრები: ზაალ სანაძე, ზაზა წულაძე, კარლო კვიტაიშვილი, ალექსანდრე მახათაძე.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **მაია კუპატაძე,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ხათუნა ვადაჭკორია.**

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა დეპუტატები: ოთარ პატიეშვილი, ირაკლი მარშანიშვილი, ზურაბ კუკულავა (შვებულება).

კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ჩახვაძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

3. ლანჩხუთს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი“-სთვის და შპს ,,ლანჩხუთი“- სთვის საკუთრებაში გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

4. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ჩახვაძემ** კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 5, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე ისაუბრა კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ჩახვაძემ.** მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი განისაზღვრა 10 817 300 ლარით.

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვრა 1 022 500 ლარით. საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 100 000 ლარი; საგზაო ინფრასტრუქტურის ექსპლოატაციის, მოვლა-შენახვის სამუშაოები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოველწლიურად მიმდინარეობს. სამუშაოები მოიცავს ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა-რეაბილიტაციას, არაასფალტირებული ქუჩების გრუნტის საფარის მოსწორება და მოხრეშვა-მოშანდაკებას. ზამთრის პერიოდში გზების თოვლისგან გაწმენდას და სტიქიური მოვლენების პრევენციის მიზნით სამუშაოების ჩატარებას. სამუშაოების შესაძლებელია განხორციელდეს საგზაო ინფრასტრუქტურის იმ მონაკვეთებზე, რომლებზეც წლის განმავლობაში გამოიკვეთება სამუშაოების შესრულების აუცილებლობა. ასევე, გზის გაწმენდითი სამუშაოები შესრულდება საჭიროების შესაბამისად.

წყლის სისტემის განვითარება - 58 000 ლარი. პროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემის სრულ რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. პრიორიტეტულია მოსახლეობის 24 საათიანი წყლის უზრუნველყოფა წლის ნებისმიერ პერიოდში.

გარე განათება - 387 000 ლარი; ქვეპროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი. ქვეპროგრამა ითვალისწინებს გარე განათების ქსელის ექსპლოატაციასა და კაპიტალურ დაბანდებებს გარე განათების სფეროში.

სასაფლაოების მოვლა-პატრონობა - 96 900 ლარი; ქვეპროგრამაში ხორციელდება ქალაქის ტერიტორიაზე არსებული 6 სასაფლაოს მოვლა-პატრონობა. სასურველია სამომავლოდ თანხა გამოიყოს სოფლებში არსებული სასაფლაოების მოვლა-პატრონობისთვის.

მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება - 25 600 ლარი. ქვეპროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი.

საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა - 350 000 ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. პროგრამის თანხების განკარგვა ხორციელდება რეგიონალურ დონეზე ჩატარებული კონსოლოდირებული ტენდერების საშუალებით.

დასუფთავება და გარემოს დაცვა - 1 082 500 ლარი; დასუფთავება და ნარჩენების გატანა - 929 500 ლარი; მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება - 143 000 ლარი; უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები - 10 000 ლარი. მუნიციპალიტეტში პრობლემური საკითხია მაწანწალა ძაღლები. **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ გასულ წლებთან შედარებით თანხა გაიზარდა, მაგრამ ძაღლებისთვის თავშესაფრის მოწყობა აუცილებელია.

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისთვის განისაზღვრა - 2 518 000 ლარი. სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირებისთვის 2 500 000 ლარით განისაზღვრა, ხოლო განათლების ღონისძიებებისთვის 18 000 ლარი. კომისიის წევრებმა განაცხადეს, რომ საბავშვო ბაღის ყველა თანამშრომელს უნდა გაეზარდოს ანაზღაურება და მათი შრომა აუცილებლად დაფასებული უნდა იყოს.

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისთვის განისაზღვრა 2 307 200 ლარით. მათ შორის არის ქვეპროგრამა რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა, რომელიც განისაზღვრა 40 000 ლარით. კომისიის წევრმა **ალექსანდრე მახათაძემ** აღნიშნა, რომ სასურველია

გაკეთდეს მუნიციპალური ფონდი ან პროგრამა, რომლის ფარგლებშიც აღნიშნული თანხა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში არსებულ რელიგიურ ორგანიზაციებს მოხმარდება.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისთვის განისაზღვრა - 723 800 ლარი. ჯანმრთელობის დაცვა - 147 000 ლარი. სოციალური დაცვა 576 800 ლარი. 2020 წლისთვის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში განსაზღვრულია 17 სოციალური პროგრამა. მათ შორის აღსანიშნავია „სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ბენეფიციარებს, რომელთაც ესაჭიროება ოპერაციული ჩარევა ან ქიმიოთერაპიის კურსის დაფინანსება და სადაზღვევოს მიერ არ უნაზღაურდება, ან მკურნალობის თანხა უნაზღაურდება ნაწილობრივ, სამედიცინო დაწესებულების ანგარიშზე ჩაერიცხება წარმოდგენილი ღირებულების 50%, მაგრამ არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა. ასევე გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სადაზღვევო პროგრამით დაუფინანსებელი თანხის თანადაფინანსება 50%-მაგრამ არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა. პროგრამით ისარგებლებენ 0-დან 150 000-ი სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები.

შენიშვნა: ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორიცაა სასწრაფო (გადაუდებელი) სამედიცინო ოპერაციების, სასწრაფო (გადაუდებელი) ქიმიოთერაპიის თანადაფინანსება, უნაღდო ანგარიშსწორებით (ინვოისით წარმოდგენილი ასანაზღაურებელი თანხა არაუმეტეს 400 ლარისა) - რომელიც არ ჯდება მერიის თანადაფინანსების პროგრამაში, მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით შესაძლებელია განხორციელდეს სარეიტინგო ქულის წარმოდგენის გარეშეც. ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და საკრებულოს წევრის შუამდგომლობის საფუძველზე.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 5, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე ისაუბრა კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ. მან დეტალურად განიხილა აღნიშნული პროექტი.

კომისიის წევრების მიერ რაიმე სახის შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიღებულ იქნას შენიშვნების გარეშე.

მომხრე 5, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი"-სთვის და შპს „ლანჩხუთი"- სთვის საკუთრებაში გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე ისაუბრა კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ. მან განაცხადა, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს, სამეგრელო-გურია-ზემო სვანეთის მომსახურების ცენტრმა, 2017 წლის 12 ივლისს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს, ფარისანას წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებისათვის გადმოსცა ორტაქტიანი ძრავის ზეთი, (1 ლიტრის ღირებულებაა - 4.4 ლარი) რომლის გამოყენება ასევე შესაძლებელია ბალახის საცელაველსა და სახერხ აგრეგატებში. ზემოაღნიშნული ზეთი, წაწთის სახით 159 (ას ორმოცდაცხრამეტი) ლიტრის ოდენობით ინახება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურში, რომლისგანაც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, 59 ლიტრის საკუთრებაში გადაცემა მიზანშეწონილად მოგვაჩნია შპს „ლანჩხუთი"- სათვის, ხოლო 100 ლიტრის ააიპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი"-სათვის.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი"-სთვის და შპს „ლანჩხუთი"- სთვის საკუთრებაში გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 5, წინააღმდეგი არცერთი.

4. სხვადასხვა.

1. კომისიის წევრმა კარლო კვიტაიშვილმა განაცხადა, რომ ჟორღანიას ქუჩაზე, პირველი საჯარო სკოლის მიმდებარედ არსებული საწიაღვრე არხი მოსაწესრიგებელია. ამ ტერიტორიაზე განთავსებულია კვების ობიექტები და იქმნება ანტისანიტარიული მდგომარეობა.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი
რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის დასკვნა №10

18.12.2019 წელი
11.00 საათი

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 18 დეკემბერს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

3. ლანჩხუთს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი“-სთვის და შპს ,,ლანჩხუთი“- სთვის საკუთრებაში გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

მომხრე 5, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

მომხრე 5, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი"-სთვის და შპს „ლანჩხუთი"- სთვის საკუთრებაში გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარკვეულების დამტკიცების თაობაზე.

მომხრე 5, წინააღმდეგი არცერთი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი
რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

18.12. 2019 წელი
11:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	გიორგი ჩახვაძე	10 55	
2	ზაზა წულაძე	11 00	
3	კარლო კვიტაიშვილი	10 55	
4	ალექსანდრე მახათაძე	10 57	
5	ზაალ სანაძე	10 59	
6	ოთარ პატიეშვილი	—	ას ესწრებოდა
7	ზურაბ კუკულავა	—	შვებულება
8	ირაკლი მარშანიშვილი	—	ას ესწრებოდა